საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

ერთობა

სამშაბათი, 30 სექტემბერი, 1919 წ.

ფასი 2 მანეთი

პროლეტ[illegible]

№ 221 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა № 221

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალ[illegible] ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, [illegible] ველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება, ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქც. და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

[illegible] სეკრეტარიატის მოხსე[illegible] უნივერსიტეტის საბ[illegible] [illegible]სვლის საკითხი, 4) [illegible]ის დღე, 5) მუ-[illegible]

[illegible] სიამ 21 [illegible] რაც [illegible] ასეთი საჭირო და [illegible] სებულებისა, როგორიც [illegible]

ხაშურის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელნი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ცნობილი მოღვაწის და საყვარელი მასწავლებლის

გიორგი ნიკოლოზის ძე იოსელიანის

(წულუკიძელი) გარდაცვალებას ქალ. ხაშურში. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 5 საათზე.

ღრმად დამწუხრებულნი: ნოე და მაშო [illegible] მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს დაუვიწყარ ძმის გურიის სახალხო გვარდიელის

ლონგინოზ ივანეს ძე რამიშვილის

ტრაგიკულად დაღუპვას, რომელიც მოხდა ქ. ოზურგეთში 26 სექტემბერს. 2—1

გენერალი ილია ოდიშელიძე

გულითად მადლობას უძღვნის იმ პირთ, რომელთაც ღირს ჰყვეს იგი თავის ყურადღებით და თანაგრძნობით ამა წლის 13 ენკენისთვეს მომხდარ [illegible] გამო.

ისევ ბათუმის საკითხი

ბათუმის საკითხის გადაწყვეტა, რომელიც ამ ბოლო დროს სწორ ნიადაგზე იდგა, სულ უკანასკნელ დღეებში თითქოს ისევ შეფერხდა. ამ შეფერხების პირველ ნიშნად ჩვენ ის გარემოება მიგვაჩნია, რომ იმ დროს, როდესაც ბათუმში და მის ოლქში აქამდის აკრძალული საქართველოს ბონების ხმარება, ოფიციალურად ნება დართეს, რომ შემოღებულ იქნეს დონის რესპუბლიკის ბონები ძველ რუსეთის ფულის თანასწორად. არავისთვის დაფარული არ არის ამ ფაქტის მნიშვნელობა: რომელი სახელმწიფოს ფულიც შედის რომელიმე მხარეში, იმის გავლენა ძლიერდება, და რომლისაც აკრძალულია, იმის გავლენა სუსტდება. დონის რესპუბლიკის ბონების დაშვება ხელოვნურად გააძლიერებს ბათუმში დენიკინის გავლენას, რადგან დონის რესპუბლიკა ის სახელმწიფოა, სადაც დენიკინს ყველაზე მეტად აქვს ფეხი მოკიდებული; და საქართველოს ბონების არ დაშვება ხელოვნურადვე ასუსტებს ამ მხარეში საქართველოს გავლენას. ასე რომ ამ ბონების საკითხში ჩვენ არ შეგვიძლია არ დავინახოთ ერთ-ერთი საქართველოსთვის არასასურველი მომენტი ბათუმის და მისი ოლქის პოლიტიკურ ბედის გადაწყვეტის მსვლელობაში.

ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს და კიდევ გავიმეორებთ: ვერავითარი [illegible] პოლიტიკა ვერ გაამართლებს ბათუმის და მის ოლქის გადაცემას დენიკინის ხელში. ეს გადაცემა ეწინააღმდეგება როგორც სამართლიანობას, ისე პოლიტიკურ მიზანშეწონილობას.

სამართლიანობის მხრივ თუ შევხედავთ საკითხს, მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ხალხის სარგებლობას, რომლის ბედიც წყდება,—ბათუმის და მის ოლქის მცხოვრებთა სარგებლობას, პირველი სიტყვა ბათუმის და მის ბედის გადაწყვეტაში მის მცხოვრებთ უნდა დავუთმოთ, და ეს სიტყვა ითქვა კიდევაც, ითქვა მეტად მკაფიოდ, მთელი ქვეყნის გასაგონად. აჭარაში ყველა ცოტად თუ ბევრად გავლენიანი მიმდინარეობანი დღეს უკვე შეერთდნენ ერთ სურვილში, და ეს სურვილია—საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში შესვლა ავტონომიური წყობილების პირობებში. თუ საკითხს მეორე მხრით შევხედავთ, აქაც საქართველოს უფლებებს ბათუმზე და ბათუმის ოლქზე ვერავითარ მკვიდრი ნიადაგი აქვს, ვიდრე დენიკინელებს. ყველასათვის ცხადია, რომ საქართველოს უბათუმოდ სული ეხუთება, უბათუმოდ მისი არსებობა საფრთხეშია, რადგან ბათუმის [illegible] საქართველოს მოწყვეტილი [illegible] დასავლეთ ევროპას, რომელსაც იგი გამოყოფილია ყველა სხვა [illegible], დენიკინისთვის კი [illegible] მხოლოდ მადის საქმეა; ბათუმს მისთვის მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამ ქალაქს იგი იქნებს სამხედრო საზღვაო ბაზად, საიდანაც სულ ადვილი იქნება [illegible] პოლიტიკის წარმოება ამიერ-კავკასიაში დარჩენილ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის გასანადგურებლად. საქართველოსთვის ბათუმი ყოფნა არ ყოფნის საკითხია. დენიკინისთვის კი მტაცებლობის და ძალადობის.

საკითხს რომ მიზანშეწონილობის მხრით შევხედავთ, აქაც ვერ ვიპოვით ვერავითარ ნიადაგს დენიკინელების პრეტენზიებისათვის. პოლიტიკური მიზანშეწონილობა მოითხოვს, რომ ჩვენს მხარეში რაც შეიძლება მკვიდრი წესიერება დამყარდეს. ამას მოითხოვს არა მარტო ჩვენი, ადგილობრივ მცხოვრებთა, ინტერესები, ამას მოითხოვს ევროპის დიდ სახელმწიფოების სარგებლობა. დენიკინის შემოსვლა ბათუმში ამ წესიერებას საშინელ საფრთხეში ჩააგდებს; მისი ბათუმში გაბატონება მუდამ იქნება წყარო არეულობის და ანარქიისა. ამ გაბატონებას მოჰყვება დღეს უკვე [illegible] რკინის გზის მიმოსვლის შეწყვეტა; ამიერ-კავკასიის ზურგს უკან დამკვიდრდება ის ძალა, რომელსაც აშკარა მიზნად აქვს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მოსპობა, გადიქცევა შეიარაღებულ ძალთა [illegible] ტილ შეიარაღებულ შეტაკებათა წყაროთ. ბათუმის და მის ოლქის დენიკინის ჯარის ხელში გადასვლამ მხოლოდ ორნაირი ნაყოფი უნდა მოიტანოს: ან მან უნდა აღგავოს პირისაგან ქვეყნისა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები, რასაც ჩვენი დემოკრატია უკანასკნელ სისხლის წვეთამდის გაუძალიანდება, ან კიდევ ამიერ-კავკასიამ უნდა აიძულოს დენიკინის არმია მიატოვოს ბათუმი და მისი ოლქი. არ გვგონია ევროპის სახელმწიფოთათვის, და პირველ ადგილზე ინგლისისათვის ხელსაყრელი იყოს ამიერ-კავკასიის საქმეების ასეთ არევ-დარევა და მის მცხოვრებთა გადასროლა ანარქიის სამოქალაქო ომის და ყოველივე უბედურების მორევში.

ინგლისმა უკანასკნელ ხანებში ფაქტების ძლიერი არგუმენტებით დაამტკიცა თავისი კეთილ-განწყობილება საქართველოს რესპუბლიკისადმი. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც მხოლოდ ისეთი ფაქტი, როგორიც არის ჩვენი მეგობრის მისტერ ოლივერ უორდროპის დანიშვნა ამიერ-კავკასიის კომისრად, რომ ინგლისის კეთილი მიზნები ჩვენი ქვეყნისათვის აშკარა შეიქნეს. და ჩვენ სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ ბათუმის პოლიტიკაში ადგილი არ ექნება იმისთანა ფაქტებს, როგორიცაა დონის რესპუბლიკის ბონებისთვის კარის გაღება, საქართველოს ბონების წინ კი კარის დახურვა; ადგილი არ ექნება არაფერს ამისთანას, რაც აშფოთებს როგორც თვით ბათუმის და მის ოლქს, ისე საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა სულიერ სიმშვიდეს, რასაც მას ცხოვრებაში შეაქვს რყევა და გაურკვევლობა. დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაში გაიმარჯვებს ის გზა, რომელსაც მოითხოვს ერთად-ერთი საღი პოლიტიკა: გზა სამართლიანობისა და პოლიტიკური მიზანშეწონილობისა.

პატარა ქალაქები

ზოგიერთ ადგილებში ფეხი მოიკიდა პატარა ქალაქების გაუქმების „იდეამ". ამ ნიადაგზე აქა-იქ ექსცესებიც მოხდა, რომელთაც მეთაურობდნენ ჩვენი რეაქციონერები. მათი მიზანია ქალაქების დაღუპვა, მათი გაუქმება და ასე იმ ნორმის შეფერხება, რომელიც აუცილებელია სოფლის [illegible].

[illegible] ცნობილი [illegible] მეთაურობით მიხვეწნებაც კი [illegible] მთავრობას და ერობას. [illegible] რომლებიც ითხოვენ ქალაქების [illegible]. ამას [illegible] „სახალხო საქმე", რომელიც თავის წერილს ასეთ სათაურს უძღვნის: „პატარა ქალაქები?" [illegible] „სახალხოს", რომ [illegible] რესპუბლიკაში და [illegible] ამ ქალაქებს ცხოვრება [illegible] „სახალხოს" [illegible] და ამგვარ [illegible] თუ მთელი [illegible] პოლიტიკის [illegible] დაწვრილებით [illegible] „ამ მოძრაობას [illegible]" და [illegible] რესპუბლიკისათვის [illegible].

თუ მოძრაობა [illegible] რესპუბლიკისათვის, [illegible] დემოკრატიისათვის. მაგრამ „სახალხო"-ს [illegible] „ეს მოძრაობა [illegible] კონტრ-რევოლუციონერობას, [illegible] კანონების და [illegible] მთავრობის კონტრ-რევოლუციონერ [illegible] და სოციალისტურ პოლიტიკის". დღეს ქალაქებში მოძრაობა, [illegible] „სახალხო" [illegible] მოითხოვს [illegible].

[illegible] მოძრაობა [illegible] სოციალისტური [illegible] რესპუბლიკის [illegible], რადგან [illegible] მოძრაობა [illegible] ქალაქების [illegible] და [illegible] „სახალხოს" [illegible] ის [illegible] საკუთრების [illegible] დემოკრატების [illegible].

„სახალხოს" [illegible] ქალაქის [illegible] ჩვენ ვფიქრობთ, რომ [illegible] ქალაქის [illegible] საერთო [illegible] ქალაქების [illegible]. [illegible] ქალაქების [illegible]. [illegible] აგრარული კანონის [illegible]. „სახალხოს" [illegible] სოციალისტურ [illegible] მოითხოვენ.

უკანასკნელი ცნობები

ყუბანის საზავო დელეგაცია და მთიელნი.

ყუბანის საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ ბიჩმა შემდეგი ნოტა გაუგზავნა ჩრდილო-კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს [illegible]:

„მოწყალეო ხელმწიფევ!

თქვენი ნოტის საპასუხოთ, რომელიც გამოგზავნილია 27 მაისის თარიღით, გაუწყებთ, რომ ის სამწუხარო ფაქტები, რომელსაც ჰქონდა ადგილი ჩრდილო კავკასიაში და რომელიც თქვენ შეგვატყობინეთ, ვაცნობეთ ჩვენს მთავრობას—დელეგაციის დასკვნით. დელეგაციის აზრი ამ საკითხზე [illegible] ჩვენ დამოუკიდებლობას ძირს უთხრის, [illegible] იმათ საქციელს, ვინც მოისურვებს [illegible] პრინციპების შელახვას, რომლისათვისაც [illegible] ყუბანის [illegible] არიან გადაბმულნი, მათ სურთ ერთი ერთმანეთთან მეგობრული განწყობილების დამყარება და ყოველივე ცდა, [illegible] განხილულ იქნება ყუბანის მიერ, როგორც მის წინააღმდეგ მიმართული აქტი, რასაც იგი ვერ შეურიგდება.

ს ო მ ხ ე თ ი.

ერევნის გუბერნიის [illegible] სომხებისა, [illegible] თათრებზე. [illegible] სომხებს. [illegible] კავშირის [illegible] თათრების [illegible] პასუხისმგებელნი არიან ადგილობრივი თათრები, მშვიდობიან ცხოვრების დამყარება მეზობელ მუსულმან გლეხობასთან შეუძლებელი იქნება. ადგილობრივ სომეხ გლეხთა პროტესტებმა აიძულეს დაშნაკელები იარაღი აეყარათ [illegible] სომხებისათვის, მაგრამ არც ერთი მათგანი პასუხისგებაში არ არის მიცემული. ეჩმიაძინის მაზრის ადმინისტრაცია გადაყენებულ იქნა, მაგრამ არც ესენი არიან სასამართლოში მიცემულნი. („ზ. რ.")

კავკასიის საკითხი.

ბათუმში მიღებულ ცნობებით, ინგლისის თემთა პალატის სხდომაზე საგარეო საქმეთა კომისიაში [illegible] საკითხი კავკასიის შესახებ, რაც დაკავშირებული იყო ინგლისის მიერ სპარსეთზე პროტექტორატის დაწესებასთან. კომისიის უმრავლესობას ის აზრი გამოუთქვამს, რომ ინგლისის პროტექტორატი სპარსეთზე გვიკარნახებს [illegible] ხაზს კავკასიაში, რომელიც გაამაგრებს ინგლისის ახალ ნაბიჯებს სპარსეთში. ამასთანავე აღნიშნავენ, რომ ინგლისის ხელმძღვანელი წრეები იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ უნდა ცნობილ იქნეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა და მოექცეს ისინი ევროპის სახელმწიფოთა [illegible] ქვეშ, რადგანაც სადავო საკითხი ამის შესახებ, [illegible] რუსეთში ჩქარა დამყარდეს [illegible] მთავრობა.

დაღესტანში

თფილისში მიღებული ცნობებით მთიელებმა, რომლებიც [illegible] და [illegible] ნავთის [illegible] მხარეს [illegible] დაღესტანის [illegible] პოლიტიკა [illegible] („ვ. ჰ.")

დეპეშები

[illegible]

29 სექტემბერი.

[illegible] ცნობები

[illegible] იუწყებიან, რომ ჩრდილო-დასავლეთის რუსული მთავრობა მონაწილეობას მიიღებს რეველის საზავო მოლაპარაკებაში.

სექტემბრის 27 იურიევში ლატვიის, ლიტვის და ესტლანდიის პრემიერ მინისტრების და საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია გადასწყვეტს რუსეთის საბჭოთა მთავრობის საზავო წინადადებას.

ავსტრიისა და რუმინიის წარმომადგენლები ამ დღეებში შეუდგებიან ბუდაპეშტში ეკონომიური ურთიერთობის აღდგენის საკითხის განხილვას.

გერმანიის ეროვნულ კრებისას რამდენიმე დეპუტატმა სოციალისტმა მთავრობას მიუთითა იმაზე, რომ სახელმწიფო [illegible] 1,500 მილიონი მარკა უკვე [illegible] ვერ მიიღო; შემოსავლისათვის [illegible] განსაკუთრებით [illegible] სასურსათო საგნები, [illegible] სხვა საგნებიც [illegible] მთავრობამ შეიძლება წარუდგინოს [illegible] და თუ არა ის მიიღებს [illegible] ადმინისტრაციას [illegible] უკანონო [illegible] შესახებ.

გერმანელმა ავსტრიამ [illegible] თავის ძმებს. ვენაში გერმანელთა ეროვნულ ყრილობის [illegible] სიტყვა წარმოსთქვა [illegible] შესახებ, რომ სუდეტის მთების [illegible] და სამხრეთით მცხოვრები გერმანიის [illegible], [illegible] ტყვეს [illegible] გადაწყვეტილების გამო, რომლის ძალითაც სუდეტის მთების 3 ნახ. მილიონი მცხოვრებს თვითგამორკვევის უფლებას ესპობათ.

ჩრდილოეთ გერმანიაში გაფიცვები არ შეწყვეტილა, მაგრამ არც [illegible] დება.

ბერლინში რკინის წარმოების გაფიცვა, მიუხედავად [illegible] ცდისა, როგორც სჩანს, ძლიერდება.

რამდენიმე ქალაქში და განსაკუთრებით ბერლინში სპარტაკელთა რამდენიმე ლიდერი დააპატიმრეს. მათ აღმოჩნდათ დაწვრილებითი გეგმები, საიდანაც სჩანს, რომ ისინი აპირებდნენ სხვა ქვეყნების და განსაკუთრებით ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტებთან ერთად მუშაობას. შედგენილი იყო დასაპატიმრებელ და სამართალში მისაცემ პირთა სიები. ბევრი ფიქრობს, რომ სპარტაკელების გეგმების აღმოჩენა მომავლისთვის შეუძლებელს ხდის მათ მუშაობას.

დრეზდენში სოციალისტურ მთავრობის უმრავლესობამ წინადადებით მიმართა დამოუკიდებლებს ორივე სოც. პარტიათაგან შეადგინონ მთავრობა. დამოუკიდებლები მოითხოვენ თანასწორ წარმომადგენლობას, რაზედაც ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ უარი მიიღეს.

ბელგიის მთავრობამ გადასწყვიტა დაიწყოს სამხედრო ტყვე გერმანელების გადაზიდვა. ექსლაშაპელში ყოველ დღე გაიგზავნება თითო მატარებელი 1000 ტყვეთი. როგორც ამბობენ, ბელგიაში დასტოვებენ 20 ტყვე გერმანელს. გერმანიის მთავრობა დაამოწმებს, რომ გერმანიის ტყვეობაში ნამყოფი ბელგიელები ყველა განთავისუფლებულნი [illegible].

იუწყებიან, რომ გერმანიის თავდაცვის მინისტრმა აღმოსავლეთში აფიცერთა გაგზავნა განსაკუთრებული დავალებით, მინისტრს ყოველ დღე მიაწოდოს ცნობები აღმოსავლეთში მდგომარეობის შესახებ.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. ველიკიე ლუკი. ენკ. 21. „[illegible]"—იუწყება, რომ [illegible] გამოცხადდა [illegible] მშრომელები, ტრანსვალიდან იუწყებიან, რომ იქაურმა ადგილობრივმა 50000 მცხოვრებმა განაცხადა, რომ კანონებს არ დაემორჩილებიან, სანამ მათ უფლებებს თეთრები არ გაუთანასწორებენ.

ველიკიე ლუკი. ენკ. 21. ლატვიის გაზეთი „[illegible]" იუწყება, რომ ფინეთის, ესტონიის, ლატვიის და ლიტვის [illegible] თათბირზე რიგაში ყველა მუშების [illegible] აზრი გამოთქვეს, სეკრეტარიატი [illegible] შეუძლებელი [illegible] ბრძოლა.

[illegible] ენკ. 24. ფინეთის გაზეთი „[illegible]" სვამს საკითხს, მოკავშირეებსა და საბჭოთა რუსეთის შორის უნდა იქნეს ზავი, თუ არა? გაზეთი ფიქრობს, რომ [illegible] ობა დიდხანს ვერ გაგრძელდება და მოკავშირე სახელმწიფოები [illegible] ნორმალური დიპლომატიური დამოკიდებულება. შეერთებული შტატები თავიდანვე [illegible] მოკავშირეთა [illegible] პოლიტიკაში რუსეთის წინააღმდეგ. [illegible] მიზანი [illegible] თავის ინტერესების [illegible]. თუ [illegible] ეს პოლიტიკა გაიმარჯვებს, შეერთებული შტატები საბჭოთა რუსეთთან ნორმალურ დამოკიდებულების [illegible] იქნება. [illegible] იაპონიის [illegible] მოკავშირეების და საბჭოთა რუსეთის შორის [illegible].

მოსკოვი, ენკ. 27. ომსკის რკინის გზის მიმართულებით ჩვენ მტერს ვიწროებთ. ხელში ჩავიგდეთ 800 ტყვე, მრავალი ტყვიის მფრქვეველი და სხვა მრავალი [illegible].

[illegible] „იზვესტიის" თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, [illegible] რომ 25 ენკენისთვის ჩვენ თვალსაჩინო წარმატებას [illegible] არის [illegible] „ცენტრის" შეთქმულების აღმოჩენა. მტრები მოტყუვდნენ ანგარიშში. [illegible] ორგანიზაცია, ჯარის გაძლიერება, და [illegible] უნდა იქნეს [illegible] ჩვენი [illegible]. ინტენსიური ბრძოლა და [illegible] რომელსაც ჩვენ დაუპირდაპირებთ მუშათა რევოლუციის მტრებს.

აღმოსავლეთის ფრონტი. [illegible] სამხრეთ-აღმოსავლეთით ბრძოლა [illegible] ჩვენმა ჯარმა 5 [illegible] მატარებელი [illegible] წინ [illegible] მტრის [illegible] წითელი ჯარი [illegible] წინსვლას განაგრძობს [illegible]. მტერი სპარსეთისკენ გარბის. [illegible] ჩვენი ჯარი [illegible] ფრონტზე ჩვენი ჯარის განწყობილება [illegible] მიუხედავად იმისა, რომ აქ მტერმა დიდ ჯარს [illegible] წითელი ჯარი [illegible] წინ მიიწევს [illegible].

მოსკოვი, ენკენისთვის 28. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, ოქტომბრის რევოლუციის ორი წლის თავის აღსანიშნავად დღესასწაულის [illegible] ცენტრალური კომისია ამხანაგ კამენევის, [illegible] მონაწილეობით [illegible] 50 მილ. მანეთი.

ნაუენი, ენკ. 27. გერმანიის მთავრობასა და დემოკრატიულ პარტიის შორის მოლაპარაკება უკანასკნელთა მთავრობაში შესვლის შესახებ განსაზღვრულ შეთანხმებით დასრულდა. დემოკრატები აცხადებენ, რომ მათ იმდენი პორტფელი უნდა მიიღონ, რამდენიც მთავრობიდან გამოსვლამდე ჰქონდათ.

ლონდონი ენკ. 29. „[illegible]" იუწყება: ლოიდ-ჯორჯი ფიქრობს ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება

კულტურული მუშაობა ჯარში

სამხედრო ხელოვნებასთან ერთად, ჩვენს აფიცრებს, [illegible] რამოდენიმე ლიდერი და დიგ, დააკისრეს ჯარში [illegible] მალე ხულუმბერგს დასტოვებს.

მიზეზით მ[illegible]
რი მატლ[illegible]
ხევრები[illegible]
ტალ [illegible]ება.

ინგლისში რკინის გზელთა გაფიცვა დაიწყო. ლოიდ ჯორჯი იმუქრება, რომ არავითარ საშუალებას არ მოერიდება გაფიცვის ჩასაქრობად.

მარსელის გემთა სააღმშენებლო ქარხნის ყველა მუშები გაიფიცნენ.

უნგრეთში თეთრი ტერორი მძვინვარებს.

კასპიის მხარეში ბოლშევიკური ჯარი წინსვლას განაგრძობს.

ბოლშევიკური ჯარი ცარიცინს მიადგა.

ყოფილი დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი პერმიდან გაიქცა და ეხლა კოლჩაკის მთავარ ბანაკში იმყოფება.

სარატოვის გუბერნიაში ჯარში გაწვეული გლეხები და მუშები გენერალ დუტოვის წინააღმდეგ აჯანყდნენ. აჯანყება წარმოუდგენელი სიმკაცრით ჩააქრეს.

კიევში ბრბომ ქუჩაში გაგლიჯა კიევის მენშევიკების ბელადი ბალაბანოვი.

რუსეთიდან ინგლისის ჯარის გამოყვანის შესახებ უმაღლეს საბჭოსთვის გადაეცა განსახილველათ, თუმცა არსებითად ეს საკითხი მხოლოდ ინგლისის მთავრობაზეა დამოკიდებული, რადგან —მთელი ხარჯები რუსეთში სამხედრო მოქმედებისაგან გამოწვეული მხოლოდ [illegible] სავალდაიხადა. პარიზული [illegible] ჰერალდი“, იუწყება, [illegible] ჯორჯმა აცნობა უმაღლეს [illegible] ინგლისის ჯარის რუსეთიდან [illegible]ყვანა, მაგრამ რადგან ეს სხდომის დასასრულს მოხდა, როდესაც საბჭოს წევრები უკვე იშლებოდნენ, ამიტომ ამ საკითხზე არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ. ამერიკის რწმუნებულებმა კამათს არავითარი ყურადღება არ მიაქციეს.

ჰელსინგფორსი. ენკ. 18. ფრიდრიხის მთავრობა შეუდგა ჟანდარმთა ახალი კორპუსის შედგენას. როგორც კი ეს კორპუსი შესდგება, რუმინიის ჯარი ბუდაპეშტს დასტოვებს.

ნაუენი. ენკ. 26. სამხრეთ სლავიანთა ბეჭდვითი ბიურო იუწყება, რომ სამხრეთ-სლავიანების რაზმმა იტალიელების მიერ დაჭერილ ქალაქ ტრუსკენ შეტევა დაიწყო. ქალაქის მცხოვრებები შეიარაღდნენ იტალიელების წინააღმდეგ. იტალიელებმა ქალაქი დასტოვეს. სამხრეთ სლავიანებმა ტყვეები მოიყვანეს და ნაპირზე გადმოსულ ამერიკელებს გადასცეს. ამერიკელებმა ქალაქში სამხრეთ სლავიანების რაზმს გადასცეს, თვითონ კი იტალიელების დევნა განაგრძეს.

ლიონი. ენკ. 27. „მატენ“-ი სწერს, რომ თუ იმ გვარი ფაქტები როგორც ფიუმეს ხელში ჩაგდებაა, კიდევ განმეორდება, მაშინ საზავო კონფერენციას დარჩა მხოლოდ ის, რომ დაიშალოს.

ჰელსინგფორსი. ენკ. 18. „ფოსიშე [illegible] იუწყება, რომ პარიზში მოსული ცნობით, დიდი მთავარი მიხეილ რამანოვი, პერმიდან გაიქცა და ეხლა კოლჩაკის მთავარ ბანაკში იმყოფება.

მოსკოვი. სამხრეთის ფრონტი. მთელ ფრონტზე მედგარი ბრძოლებია. კურსკის მიმართულებით მტრის ჯავშნიანი მატარებელი მოვიგერიეთ. სად. კოსტორონოისთან ხელთ ვიგდეთ მტრის ჯავშნიანი მატარებელი. ბოგუჩარისკენ ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა მტერი უკუ აქცია. ხოპერის რაიონში მედგარი ბრძოლა სწარმოებს. ინგლისში რკინის გზელთა გაფიცვა დაიწყო. მთავრობის ცდა, რომ გაფიცვა ჩაექრო, უქმი გამოდგა. ლოიდ ჯორჯი იმუქრება, რომ არავითარ საშუალებას არ მოერიდება გაფიცვის ჩასაქრობად. დემობილიზაცია შესწყდა და ჯარს გაფიცულთა წინააღმდეგ საბრძოლველად ამზადებენ.

მთელ ინგლისში მთავრობა ამცირებს სასურსათო ულუფას და მცხოვრებლებს ართმევს ავტომობილებს და კარეტებს.

საფრანგეთის უმნიშვნელოვანეს ნავთსადგურის მარსელის გემთა სააღმშენებლო ქარხნის ყველა მუშები გაიფიცნენ.

ბერლინში 24000 მუშამ კიდევ შესწყვიტა მუშაობა. სიმენსის ქარხნებში სრულიად შესწყდა მუშაობა.

ვარშავის გაზეთები იუწყებიან, რომ ვარშავში შრომის სამინისტროს წინ თავი მოიყარა უმუშევართა ბრბომ, რომელიც სამუშაოს მიცემას მოითხოვდა. რა კი პასუხი არ მიიღო, ბრბო სამინისტროში შეიჭრა. გამოიწვიეს პოლიციელთა რაზმი, რომელმაც კონდახებით და მათრახებით გაფანტა ბრბო. უნგრეთში თეთრი ტერორი მძვინვარებს, ახლად შემდგარი პოლიცია კომუნისტებთან ბრძოლის საბაბით მთავრობის ყველა მოწინააღმდეგეს მკაცრად სდევნის. თეთრი გვარდიის შესადგენად მთავრობა მილიონებს ხარჯავს.

ბელგიის მთავრობამ ბელგიის მოსაზღვრე გერმანულ ოლქების მცხოვრებთ განუცხადა, რომ ამ ოლქების ბელგიასთან შეერთების საკითხის გადასაწყვეტად ხმის მიცემა ბელგიელ მოხელეთა ზედამხედველობით მოხდება. თუ ამ ოლქების გერმანიის ფარგლებში დატოვების მომხრე ბევრი აღმოჩნდა, მაშინ დაპატიმრებები მოხდება გერმანიის მომხრეთა შორის.

ესტონიის მთავრობა გადამწყვეტ ზომებს ღებულობს ჩრდილო-დასავლეთის ლიანოზოვის რუსულ მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ ესტონიის მიწა-წყალზე. მოსალოდნელია, რუსის თეთრგვარდიელებს საბოლოოდ მოსთხოვონ ესტონიის დაცლა.

სარატოვი. ორსკის რაიონში ჯარში გაწვეულმა მუშებმა და გლეხებმა იარაღით ხელში გენ. დუტოვის წინააღმდეგ გაილაშქრეს. მათ დასამშვიდებლად გაგზავნილ საყარაულო გუნდს იარაღი აჰყარეს. ამის შემდეგ მათ დასამშვიდებლათ ორენბურგის ყაზახები გაგზავნეს. მოხდა ნამდვილი ბრძოლა. აჯანყება წარმოუდგენელი სიმკაცრით ჩააქრეს.

გომელი. ენკ. 24. პოლტავის მოხალისეთა გაზ. „გოლოს იუგა“-ს ცნობით, კიევში ხალხმა ქუჩებში დაკლიჯა „კიევსკაია მისლ“-ის რედაქტორი, კიევის მენშევიკების ბელადი ბალაბანოვი. იგივე გაზეთი იუწყება, რომ რამდენიმე ასი კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული ბრბო თავს დაესხა მოხალისეთა არმიის მთავარსარდლის გენ. მაიმაევსკის მატარებელს. თავდამსხმელები ტყვიის მფრქვევლებს და თოფებს ისროდნენ. მატარებლის ყარაულმა თავდასხმა მოიგერია.

მოსკოვი, ენკ. 28. თეთრ გვარდიელთა მიერ ქურდულათ მოკლულ ამხანაგების თავმოხდილ სამარეზე მოსკოვის 10,000 მუშამ და წითელ არმიელმა ფიცი დასდო, რომ სრულ გამარჯვებამდე იბრძოლებენ. სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი. ჩრდილ.-დვინისკენ ჩვენი შეტევა გრძელდება. წამოვიყვანეთ 200 მეტი ტყვე. დასავლეთის ფრონტი. ფინის ყურეში ჩვენმა სანაპირო ბატარეამ კოპორის ყურესთან მოსული მტრის სამხედრო გემები განდევნა. ჩერნიგოვის რაიონში ბრძოლები ჩვენ სასარგებლოდ სწარმოებს.

ახალი ამბები

მთავრობამ 23 ენკენ. სხდომაზე დაადგინა: ადმინისტრაციის ინსპექტორის მოსამსახურეთა შესახებ, არსებული კრედიტი 118,200 მან., დახურული თანახმად მთავრობის 31 მაისის დადგენილებისა, აღდგენილ იქნას.

◆ **ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა** ჰასანოვმა [illegible] სადაც აწერილია ის ტრაგედია, რომელიც დაღესტანში ვითარდება და სთხოვა მთავრობას გასწიოს, რომ მოხალისეთა ჯარსა და დაღესტანს შორის სადემარკაციო ხაზი გატარდეს და იხმაროს ყველა საშუალება, რომ დამთავრდეს კონფლიქტი მოხალისეთა ჯარსა და დაღესტანს შორის. დეპეშის ასლი გამოეგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს.

◆ **ინგუშების, ყაზახების და ოსების შეთანხმება.** განზრახულია კავკასიაში მოიწვიონ ინგუშების, ოსების და ყაზახების წარმომადგენელთა ყრილობა, რომლის მიზანიც იქნება ამ ხალხების მორიგება.

◆ **გენ. ხარბორდი ერზერუმში.** გაზ. „სლოვოს“ ატყობინებენ, რომ გენ. ხარბორდი, ამერიკის სამხედრო კომისარი სომხეთში—ერზერუმში მისულა. 27 სექტემბერს ის ყარსში მივა.

◆ **ბათუმის ნავთის სამრეწველო** ფირმების მუშებმა და მოსამსახურეებმა, ცხოვრების გაძვირების გამო, ფაბრიკანტების და მექარხნეების საზოგადოებას შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს: 1) შემოღება 8 საათის სამუშაო დღისა, 2) ჯამაგირის 100 პროცენტით გადიდება, 3) ზედმეტი სამუშაოს ფასით დაკმაყოფილება. პროფესიონალური კავშირების საბჭომ ეს მოთხოვნილებანი კანონიერად იცნო და დაამტკიცა.

◆ **მიწათ-მოქმედების სამინისტროს**თან არსებულ სასოფლო სამეურნეო კურსებზე გაიხსნა მეორე სემესტრი. ლექციებს კითხულობენ პროფ. მელიქიშვილი, გედევანიშვილი და სხვ.

◆ **ქართულ ენის პროგრამა არა ქართულ სასწავლებლებისთვის.** განათლების სამინისტრო იმუშავებს ქართული ენის სწავლების პროგრამას არა ქართულ ვაჟთა და ქალთა საშუალო რეალურ სასწავლებლებისათვის.

◆ **წ. კ. გ. საზოგ.** მთავარმა გამგეობამ გადასდო ერთდროულ დახმარებათ 10,000 მანეთი ჯარში წერა-კითხვის გასავრცელებლად. წ. კ. გ. ს. მთავარმა გამგეობამ გადასდო კავკავის ქართული სკოლის შესანახად 36,600 მ., მისცა 1000 მანეთის წიგნები წითელი ჯვრის თავშესაფარს, 780 მანეთის წიგნები (საინგილოში) კახის სკოლას და სხვა.

◆ **ყრილობა.** 28 სექტემბერს, გაიხსნა თფილისის სამაზრო ერობის ხმოსანთა არაჩვეულებრივი ყრილობა. მოსმენილ იქნა გამგეობის ანგარიში. ყრილობას მიზნათ აქვს განხილვა დამატებითი ჯამაგირების დაწესებისა და გამგეობის ხელ-ახალ არჩევნების საკითხისა.

◆ **განსვენებულის გიორგი იოსელიანის ხსოვნის აღსანიშნავად წ. კ. გ. საზ. მთავარმა გამგეობამ დაადგინა:** 1) გაეგზავნოს სამძიმარის დეპეშა განსვენებულის ქვრივს, 2) საზოგადოების გამგეობის სახელით გადახდილ იქმნას პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, 3) დაესწროს განსვენებულის ნეშტის დაკრძალვას გამგეობის წარმომადგენელი, 4) განსვენებულის სახელზე შეტანილ იქმნას სწავლის ფული ერთ ერთი ღარიბი მოწაფისა მეექვსე გიმნაზიაში.

◆ **სავაჭრო სასურსათო ზედამხედველობის მოქმედება.** განახლებულ ზედამხედველობას (8 კაცის შემადგენლობით) 5 მაისიდან 10 სექტემბრამდე შეუდგენია სულ 712 ოქმი, მაშინ როცა ძველ შემადგენლობის ზედამხედველობას (27 კაცისაგან შემდგარი) ამდენივე ხნის განმავლობაში (1 იანვრიდან 5 მაისამდე) შეუდგენია 159 ოქმი. ამ 712 ოქმიდან 353 უკვე ასასრულებლადაა გადაცემული, რომლიდანაც ჯარიმის სახით ხაზინამ უნდა მიიღოს 189,500 მან. დატუსაღების სახით დაისჯება 71 კაცი.

◆ **ექსკურსია.** მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან არსებულ სამეურნეო კურსების მსმენელები დაბრუნდნენ კახეთიდან, სადაც ისინი გამგზავრებული იყვნენ წინანდალის მამულის დასათვალიერებლათ. ამ ექსკურსიას ხელმძღვანელობდა როლოვი, დეკანოზიშვილი, ტიმოფეევი და სხვანი.

◆ **გამოვიდა** მორიგი ნომერი (9) ჟურნალ „მუშათა ცხოვრების“. ჟურნალში მოთავსებულია: მოწინავე—„ინტერნაციონალი, შეიარაღებული დემოკრატია—გ. ჟუღელისა, მუშათა მასის სულიერი აღზრდა—ი. ტ—ა. ქუთაისის შრომის ბირჟა—ლეონარდოსი, პროლეტარული ფრონტის დღე—დ. ბუაჩიძისა „მუშის დღიურიდან“—მ. თამაზაშვილისა, ლექსი და სხვ.

◆ **ძუკუ ლოლუას კონცერტი.** დღეს სახალხო სახლში გაიმართება დამსახურებულ ლოტბარის და მომღერლის ძუკუ ლოლუას კონცერტი. მრავალი მეგრული, აფხაზური, გურული, იმერული და სხვა სიმღერა, ცეკვა და ჩვეულებანი იქნება შესრულებული. აგრეთვე დადგმული იქნება ძუკუ ლოლუას სურათები სოფლის ცხოვრებიდან: „ძველი და ახალი“ და „დაჭრილი აფხაზი“, რაც შესრულებულ იქნება სიმღერა-ნადურთამაშით.

◆ **მისალმების დეპეშა.** მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა მიიღო ქუთაისიდან: „დასავლეთ საქართველოს ხაზინებში მოსამსახურეთა წარმომადგენლების მეექვსე მორიგი ყრილობა თქვენის სახით ესალმება საქართველოს მთავრობას, და ფიცსა სდებს თავისი ძალ-ღონე შესწიროს მთავრობას სამშობლოს აღორძინების საქმეში. ყრილობის თავმჯდომარე ურიდია“.

◆ **ჩვენი გაზეთის ხრონიკაში** გამოცხადებული იყო, რომ საგანგებო რაზმმა დაატუსაღა კ. შელიძე. [illegible] ყარამანის ძე შელიძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ეს მას არ ეხება.

კრებები.

დღეს, საღამოს 6 საათზე, შესდგება საქ. ს. დ. მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტის სხდომა.

— დღეს საღამოს 6 საათზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პარტიის მესამე რაიონთან არსებულ ახალგაზრდა მარქსისტთა წრის წევრთა საზოგადო კრება.

— დღეს, სამშაბათს, საღამოს 7 საათზე წ. კ. გ. ს. ბინაზე (დამფ. კრების ქუჩა № 5) დანიშნულია აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო სკოლების მასწავლებელთა კავშირის მთავარი გამგეობის კრება. განსახილველი საგანი: სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის დელეგატების ყრილობის მოწვევა.

— ოთხშაბათს, 1 ოქტომბერს, 5 საათზე დანიშნულია საზოგადო კრება მეოთხე რაიონის ს. დ. ქალთა ორგანიზაციის. წაკითხულ იქნება ლექცია მიმდინარე მომენტზე.

პროვინციის ქრონიკა.

— **გორი.** საჭიროა მეათე ქვეითა ათასეულში ორი სამხედრო მესაკრავე: ერთი ბარიტონისტი და ერთი კორნეტისტი ან დე კლარნეტისტი. პირობები შემდეგია: თვეში 500 მანეთი და ჯარის კაცის ყოველგვარი ულუფა. მსურველებს შეუძლიათ მიმართონ შემდეგი მისამართით: გორი, მეათე ათასეულის მდივანს კაპიტან მიხელიძეს.

სანდრო მაისურაძის სახელობის ბიბლიოთეკა.

კვირას, 28 სექტემბერს, მოხდა სანდრო მაისურაძის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საზეიმო გახსნა, პროფესიონალურ კავშირთა შენობაში. საზეიმო გახსნას დაესწრნენ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი, დამფუძნებელი კრების წევრები, სახალხო გვარდიის შტაბის წევრები და პროფესიონალურ კავშირების, პრესის, დემოკრატიულ-საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

კრება გახსნა პროფესიონალურ კავშირთა ცენტრის თავმჯდომარემ ალ. ბახტაძემ. სამხედრო მუსიკამ შეასრულა ეროვნული ჰიმნი. თავმჯდომარემ მოკლე სიტყვით აღნიშნა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებათა მნიშვნელობა პროლეტარიატის ისტორიულ ბრძოლისთვის და სთქვა, რომ თფილისის პროლეტარიატის ეს პირველი სამკითხველო, სახალხო გმირის სანდრო მაისურაძის სახელობაზე. ამ მუშათა კლასს მუდამ ბრძოლის სიმბოლოდ ექნება და ერთის მხრივ ბრძოლა და მეორეს მხრივ ცოდნის შეძენით—კულტურულ ამა-

გერმანიის რევოლიუცია და წარმოების განსაზოგადოებრიობა

(წერილები გერმანიიდან).

⁂

წარმოების ყველა ეს შტოები, რომელნიც სოციალიზმისთვის მზათ არიან, თუმცა დიდმნიშვნელოვანია, მაგრამ მთელ წარმოების მხოლოდ ერთ პატარა ნაწილს შეადგენენ. რა უნდა უქნათ დანარჩენ წარმოებას? მისი განსაზოგადოებრიობა თუ არა, ამ აქტისთვის მომზადება მაინც არის საჭირო.

იქ, სადაც წარმოება წვრილი და გაფანტულია მისი სოციალისტურათ, ე. ი. საზოგადოებრივათ მმართველობის მოწყობა არ მოხერხდება. აგრეთვე იქ, სადაც ქარხნის პატრონი თვით არის წარმოების მეთაური, მისი დაშორება წარმოებისგან ტეხნიკურათ შეუძლებელია. ამნაირათ წარმოების სოციალიზაციისათვის მოსამზადებლათ საჭიროა ერთ შტოის ქარხნების ერთმანეთთან დაკავშირება და მათი საერთო მმართველობის შექმნა. გავიხსენოთ, რომ სოციალიზმი უნდა განხორციელდეს არა ცალკე, არამედ წარმოების მთელ შტოების მოწყობით. ასეთი თავმოყრა ქარხნებისა და მისი ორგანიზაცია შეიძლება თანდათან მთელ წარმოებას ქსელივით მოედვას.

ასეთი ორგანიზაცია ჩვენ ორი სახით ჯერ კიდევ კაპიტალისტურ საზოგადოებაში გვხვდება: ერთი კარტელები და მეორე ომის დროს გერმანიაში ასე განვითარებული ომის საზოგადოებანი. რასაკვირველია, სოციალიზმისთვის საჭიროა არა მათი დაშლა, არამედ მათი ორგანიზაციების შენარჩუნება, ხოლო მათ შინაგან წყობილების, პირველ შემთხვევაში კაპიტალისტურის, მეორეში კი ბიუროკრატიულის, ახლით შეცვლა.

[illegible] ამით მაგვარი საზოგადოებათა [illegible] მოეწყოს [illegible] სოციალიზმის [illegible] ჯერ კიდევ მოუმწიფებელი წარ[illegible] ჩვენ ვხელმძღვანელობთ აქ ავ[illegible] მინისტრის ოტტო ბაუერის გეგ[illegible] რომელიმე წარმოების შტოს [illegible] ქარხანა თუ მთელი რიგი ქარხ[illegible] მათ ერთი მესაკუთრე ჰყავთ, იძულებულია კანონით წარმოების კავშირს შეუერთდეს. ასეთი კავშირები თავისი ტეხნიკური წყობილებით კარტელებს უნდა ჩამოჰგავდნენ. მათი გამგეობა კი სულ სხვანაირათ იქნება შემდგარი. ერთ მეოთხედს დანიშნავს სახელმწიფო, ერთ მეოთხედს აირჩევენ იმ წარმოებაში ჩაბმული მუშები და წვრილი მოხელენი, ერთ მეოთხედს მომხმარებლები და ბოლოს ერთ მეოთხედს ქარხნების პატრონებ-კაპიტალისტები.

ეს გამგეობა, სადაც ყველას ინტერესები არის დაცული, წარმოების მმართველობის სრული უფლებებით უნდა იყვეს აღჭურვილი. მისი მოვალეობაა: წარმოების რაც შეიძლება მეტი რაციონალური მოწყობა, მისი ხარჯების შემცირება; ამისთვის კავშირს შეუძლია, ისე როგორც კარტელს, უვარგისი ან პატარა ქარხნები სრულიად შეაჩეროს და მისი წარმოება დიდებში გადაიტანოს. აგრეთვე შეუძლია ნედლი მასალის ყიდვასა და ნაწარმოებთა გაყიდვის მთლიანი ორგანიზაცია მოაწყოს, რაც მრავალ ხარჯებს სრულიად გააუქმებს.

გარდა ამისა ერთი დიდი ამოცანა კავშირისა იქნება წარმოების ტიპიზაცია. კავშირი საქონლის რამოდენიმე საუკეთესო ტიპს გამოიმუშავებს და შემდეგ ქარხნებს მათ შეუფარდებს, ასე რომ აუარება ენერგია, რომელიც ეხლა საქონლის უთვალავ ტიპების წარმოებაზე იხარჯება—სხვა მხარეებს მოხმარდება და ტყუილ უბრალოთ არ დაიკარგება. კავშირი აგრეთვე კოლექტიურ მუშათა ხელ-შეკრულებებს უფრო მოხერხებულათ დასდებს და ამითაც საქმეს გაადვილებს.

წარმოების ასეთ ორგანიზაციით იგი რაციონალურ ხასიათს იღებს და მეორე მხრით თანდათანობით მას განსაზოგადოებრიობისათვის ნიადაგს ამზადებს. ყველა ის წმინდა შემოსავალი კი, რომელიც წარმოების ასეთი შეერთების შედეგი იქნება, სახელმწიფოს შეუძლია კავშირის საშუალებით თვით მიიღოს.

რაციონალიზაცია და ტიპიზაცია, რასაკვირველია, უფრო ფართოდ გატარდება სოციალიზმისათვის უკვე მზა წარმოებებში, თუ კი კაპიტალისტურ წარმოებას თვითონ არ გაუტარებია იგი.

⁂

ჩვენ აქამდის სოფლის მეურნეობას სრულიად გვერდი ავუხვიეთ, რადგან იქ განსხვავებული პირობებია და განსხვავებული ზომებიც არის საჭირო. პირველი აქტი, შედარებით უფრო ადვილი იქნება მთელი მიწის, მათ შორის ტყეების, 100 ჰექტარის ზევით სახელმწიფო საკუთრებათ გამოცხადება. სხვა და სხვა წარმოება, თუ კი ასეთი ამ მიწებზე არსებობს, შეიძლება პრინციპიალურათ ჯერ კერძო საკუთრებათ დარჩეს, თუმცა კი მათ თანდათანობით განსაზოგადოებრიობას საერთო წესით ეხლავე უნდა შეუდგნენ.

შემდეგი უმთავრესი საკითხი არის, როგორ უნდა მოიხმარონ ჩამორთმეული მიწები, რომელი მეურნეობა არის უფრო რაციონალური, წვრილი თუ მსხვილი? თუ ინდუსტრიაში ეს საკითხი ნათელია, სოფლის მეურნეობაში იგი იჭვებს იწვევს. ჯერ უწინაც ამის შესახებ სოციალ-დემოკრატიაში აზრთა სხვადასხვაობა იყო და დღესაც თავს იჩენს იგი. ზოგი მეურნეობა, როგორც მაგ. ტყისა, ცხადია მსხვილი უნდა დარჩეს. აქ აზრთა სხვადასხვაობას ადგილი არა აქვს.

ყოველ შემთხვევაში კაუცკი ძველს აზრს იცავს: „მსხვილი მეურნეობის დანაწილება მის დაქვეითებას ნიშნავს და არავითარ სარგებლობასაც ვერ მოიტანს, რადგან არავითარი მისწრაფება ქალაქიდან სოფლად წასვლისა არ არსებობს, პირიქით, სოფლად როგორც მსხვილ, ისე წვრილ წარმოებას (ამ ჟამათ) მუშა ხელი აკლია“.

რ. ჰილფერდინგისა და ოტტო ბაუერის აზრითაც მსხვილი მეურნეობა უმრავლეს შემთხვევაში წვრილზე მაღლა სდგას, მაგრამ საყოველთაოდ არა. ო. ბაუერი მაგალითად ვაზს ასახელებს, როგორც წვრილი წარმოებისთვის უფრო რაციონალურს.

ამ საკითხის გადაწყვეტის დროს სახეში უნდა მივიღოთ ის, რომ ეხლანდელ მსხვილ სოფლის მეურნეობაში მუშათათვის საშინელი პირობებია. პირობების გაუმჯობესების შემდეგ ინტელიგენტი მუშები, რაიც ამ შემთხვევაში ძალიან ბევრს ნიშნავს, სოფლის მეურნეობას არ გაექცევიან და ისიც უკეთეს ნაყოფს მოიტანს. მეორე მხრით გლეხის გაღატაკებულ მუშაობითაც აიხსნება მის წვრილ მეურნეობის სარფიანობა, სადაც კი ეს ნამდვილი ფაქტი არის, მაგრამ ეს გადაჭარბებული შრომა ხომ დიდხანს ვერ იარსებებს, მით უფრო სოციალიზმის დროს. ყოველ შემთხვევაში ამ კითხვას კარგათ აწონდაწონვა სჭირია და ისევ პრაქტიკულ ცხოვრების მაგალითები საუკეთესოთ თუ გადასჭრიან მას.

ცხადია, ის მეურნეობა, რომელიც მსხვილ მეურნეობის ხასიათს შეინარჩუნებს, საზოგადო წესით თანდათან განსაზოგადოებრივებულ მეურნეობას მიემატება და მისდაგვარათ მოეწყობა. რაც შეეხება იმ ადგილებს, რომელნიც წვრილად უნდა დაიჭრან, საკუთრებათ მათ დარიგებას, მათი იჯარით მიცემა ემჯობინება. იჯარა მით არის უკეთესი, რომ საზოგადოებას (სახელმწიფოს) ერთგვარი ძალა აქვს მაშინ მწარმოებლებზე. სახელმწიფოს შეუძლია აგრეთვე იჯარის აწევ-დაწევით ნაწარმოებთა ფასების რეგულიატორის როლიც ითამაშოს. მაგრამ იჯარას ის ნაკლი აქვს, რომ მოიჯარადრე, თუ დარწმუნებული არ არის თავის უფლებების ხანგრძლიობაში, მეურნეობას გულით ვერ მოეკიდება. ამიტომ იჯარა ხანგრძლივი და მემკვიდრეობით გადასაცემიც უნდა იყვეს. დრო გამოშვებით იჯარის რაოდენობა შემოწმებული და პირობების მიხედვით შეცვლილ იქმება: ამნაირათ შეიძლება იმ რენტის, რომელსაც ეხლა მსხვილი მემამულე იღებს, საზოგადოების სასარგებლოთ აკრეფა.

ეს მსხვილი მამულებისა და მათ რეფორმების შესახებ. რასაკვირველია, მშრომელ გლეხობის მიწებსა და მეურნეობას არავინ ხელსაც არ ახლებს. სოციალიზმი შრომის ექსპლოატაციის მოსპობაა და არა პირადი შრომის აკრძალვა. ამ მიწების განსაზოგადოებრიობა არ შეიძლება, მაგრამ საჭიროა მათი თანდათანობით სოციალისტურ საზოგადოებისათვის შეფარდება. მაგ. საჭიროა მათი შეკავშირება სხვადასხვა ნაწარმოებთა საერთოდ საყიდლათ. ისე რომ პურის ვაჭრობის მონოპოლიის დროც, რაც ომის დროს თითქმის განხორციელებული იყო და რის გაძლიერებას შემდეგში უფრო აპირებენ, მთელი პური შეკავშირებულმა გლეხობამ სახელმწიფო ორგანოებს უნდა ჩააბაროს.

ამას გარდა სახელმწიფოს, მიწებით ვაჭრობის დროს, უპირატესობა მიენიჭება, ამ სახით კი შეიძლება სახელმწიფოს მიწის ფონდი გაძლიერდეს და წვრილ მესაკუთრეთა რიცხვი თანდათან შემცირდეს. ჰიპოტეკების განსაზოგადოებრიობითაც საზოგადოება დიდ გავლენას მოიპოვებს კერძო წვრილ მესაკუთრეებზე.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ მთელ საზოგადოებას დიდი ინტერესი აქვს, განსაკუთრებით ეხლანდელ სასურსათო კრიზისის დროს, რომ ეს წარმოება არ შეფერხდეს, რაციონალურათ იყოს მოწყობილი და თვით მესაკუთრენი, რომელნიც საკმაო რიცხვს წარმოადგენენ, უკმაყოფილონი არ გახდნენ და სოციალიზმის წინააღმდეგ არ ამხედრდნენ.

სახელმწიფო გამართავს სოფლათ სხვადასხვა სასოფლო სამეურნეო სკოლებს, თვით მესაკუთრეებს კი პატივს, მანქანებს და სხვა მასალებს მიაწვდის, რათა მეურნეობამ მაღალი ფორმები მიიღოს. დაქუცმაცებული, რამდენიმე ადგილას დაფანტული ადგილები, რომელთაც გლეხის საკუთრება წარმოადგენს, ერთათ უნდა იქნას თავმოყრილი, რაც თავის-თავათ მეურნეობის დიდათ გაუმჯობესობას ნიშნავს. ამგვარი ზომებით ერთი რომ სოფლის წვრილი წარმოება ტეხნიკურათ უფრო უკეთეს გზას დაადგება და ამავე დროს სოციალისტურ საზოგადოებასაც უმტკივნეულათ, გლეხებისათვის მიწების ჩამოურთმევლათ, შეეგუება.

ეს ასეც უნდა მოხდეს. თუ მთავარი ნაწილი წარმოებისა, რასაც ეხლა ინდუსტრია წარმოადგენს, ერთ გარკვეულ გზას, ამ შემთხვევაში სოციალისტურს, დაადგა, შემდეგი ჩამორჩენილი ნაწილები მას თავის-თავათ ასე თუ ისე უნდა აჰყვნენ და შეეფარდონ.

შემდეგ კი, თუ კი სოფლის მეურნეობაში მსხვილმა წარმოებამ კარგი ნაყოფი გამოიღო და მიწის მუშამ კარგ ბინასთან მოკლე სამუშაო დღე და კარგი ხელფასი მოიპოვა, ადვილათ შესაძლებელია თვით გლეხი თავის სურვილით თავის მეზობლებს ერთ საწარმოვო კავშირში შეეკრას და საწარმოვო ამხანაგობები დაარსოს, რაც მისთვის აქამდის ასე უცხო და ძნელათ მისაღები იყო.

V. განსაზოგადოებრიოებულ წარმოების ორგანოები

წინა თავში ჩვენ შევეცადეთ განსაზოგადოებრიობისათვის გზა. შერჩევისა და დანარჩენების ორგანიზაციის პრინციპები აღგვენიშნა, როგორც ქალაქის, ისე სოფლის მეურნეობაში. მაგრამ, როცა წარმოების რომელიმე ნაწილი სოციალისტურათ მოსაწყობათ მომწიფებულია, და ამასთანავე ყველა წინასწარი ნაბიჯები გადადგმულია, იბადება საჭირბოროტო საკითხი: ვის, რომელ ორგანოს უნდა გადაეცეს სოციალისტურ წარმოების გამგეობა?

ჩვენ ვხმარობთ სიტყვას: საწარმოვო იარაღთა განსაზოგადოებრიობას, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ ტერმინოლოგიაში მუდამ პირველ რიგში იდგა; მაგრამ როგორ უნდა გადაეცეს საზოგადოებას საწარმოვო იარაღები საკუთრებათ? საზოგადოება, განყენებულათ რომ ვილაპარაკოთ, უმეშვეოთ ვერავითარ საკუთრებას ვერ მიიღებს, მხოლოდ თავისი ორგანოების საშუალებით თუ შეუძლია მას ეს. და აი, რომელი ორგანოები საუკეთესოდ წარმოადგენენ მას ამ შემთხვევაში?

ძველი, გავლენიანი, მარქსისტებისგან მუდამ უარყოფილი სინდიკალისტური გეგმა საწარმოვო ამხანაგობათა დაარსებისა და ქარხნების მუშების მიერ დაპატრონებისა ჩვენ მიზნისთვის სრულიად გამოუსადეგარი იქნება. „როდესაც ჩვენ განსაზოგადოებრიობის შესახებ ვლაპარაკობთ, ამბობს რ. ჰილფერდინგი, თავის თავს კარგად ანგარიში უნდა მივცეთ, თუ როგორა გვაქვს იგი წარმოდგენილი. მე არას შემთხვევაში მას არ ვსახავ, როგორც მუშების მიერ ქარხნების უმეშვეოთ ხელში ჩაგდებას. ეს აქტი მთელ რიგ ქარხნის ამხანაგობებს შექმნიდა, ასე რომ ერთი ქარხნის მუშები თავიანთ შორის ერთ ამხანაგობას შეჰკრავდნენ, მაგრამ კაპიტალისტურ წარმოების ხასიათს კი ვერ შესცვლიდა. ჩვენ ვხედავთ ეს იდეა ჩვენშიაც ამოტივტივდა იმ სახით, თითქოს შესაძლებელი იყვეს მუშები ცალ-ცალკე ქარხნებს დაეპატრონონ და ამით სოციალიზმი განახორციელონ“. ასეთი სინდიკალისტური გეგმა ერთი კაპიტალისტის მაგიერათ, მრავალს შეჰქმნიდა მხოლოდ.

ღლებით—იგი მიაღწევს თავის მიზანს —სოციალიზმს.

თავმჯდომარემ აგრეთვე აღნიშნა, რომ ამ სამკითხველოს გახსნა—ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია, რასაც სხვებიც უნდა მოჰყვეს.

კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ბრძოლის ველზე ხალხის საქმისთვის დაღუპულ სანდრო მაისურაძის უკვდავ ხსოვნას. მუსიკამ შეასრულა სამგლოვიარო ჰიმნი.

შემდეგ იყო მილოცვანი: მთავრობის სახელით მისალმა ე. გეგეჭკორი, დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით—რ. არსენიძე, სახალხო გვარდიის სახელით—ვ. ჯუღელი, სახალხო უნივერსიტეტის სახელით—გ. ნათაძე, სოჭის ოლქის დემოკრატიის სახელით—ცვანგერი.

გახსნას ხალხი ბლომად დაესწრო. კრება დაიხურა 1 საათზე ეროვნულ ჰიმნით.

„შევარდენის" ტანვარჯიშობა ქუთაისში.

კვირას 5 ოქტომბერს თფილისის საზოგადოება „შევარდენი" გამართავს ქუთაისში დიდ ტანვარჯიშო დღესასწაულს, რომლისთვისაც აქედან მიემგზავრება 60 შევარდენი ქალი და ვაჟი. სხვადასხვა გვარ ტანვარჯიშობათა შორის იქ პირველად შესრულდება გ. ეგნატაშვილის მიერ შედგენილი ახალი, საუცხოვო სილამაზის თავისუფალი მოძრაობა „საქართველოს ვარსკვლავი". ეს მოძრაობა ტანვარჯიშულ სტილიზაციას წარმოადგენს და, თუმცა 5 ნაწილებათ განიყოფება, მაგრამ ერთ მთლიანი ცხოვრების სურათს გამოსახავს.

იგი იწყება ქალ-ვაჟთა საერთო ტანვარჯიშობით, ამ დროს საიდანღაც მტრის საფრთხე იბადება. მყისვე „ძმები", მტრის მოსაგერიებლათ „დების" ირგვლივ სდგებიან და საბრძოლველათ მზადებას იწყებენ, ხოლო „დები" ამ დროს ლოცულობენ. შემდეგ იწყება მტერთან მედგარი ბრძოლა, რომელშიაც დები ძმებს ეხმარებიან სხვადასხვა იარაღის მიწოდებით. უკანასკნელი ნაწილი წარმოადგენს, მტრის უკუქცევას შემდეგ, გამარჯვებულ ქართველ შევარდენთა [illegible] ცეკვას.

მთელი ეს სურათი მით უმეტეს საყურადღებოა, რომ ბრძოლასაც და ცეკვასაც ნამდვილი ტანვარჯიშული მოძრაობა სახავს სტილისტიურათ. „საქართველოს ვარსკვლავში" 40 საუკეთესოთ მოვარჯიშე ქალი და ვაჟი მონაწილეობს.

